ამონაწერი

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პაატა გუგუშვილის სახელობის ეკონომიკის ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოს 2026 წლის 17 მარტის სხდომის

№2 ოქმიდან

სხდომას ესწრებოდნენ: აკადემიკოსი ვლადიმერ პაპავა, პროფ. მურმან კვარაცხელია, პროფ. გიორგი ბერულავა, პროფ. ვახტანგ ბურდული, ეკონომიკის დოქტ. რევაზ ჯავახიშვილი, ეკონომიკის დოქტ. ლინა დათუნაშვილი, ეკონომიკის დოქტ. თეა ლაზარაშვილი, ეკონომიკის დოქტ. მამუკა ხუსკივაძე, ეკონომიკის დოქტ. ლია თოთლაძე (მდივანი).

დღის წესრიგი

1. სამეცნიერო საბჭოს სხდომის თავმჯდომარის არჩევა

(აკად. დოქტორი თეა ლაზარაშვილი);

2. თსუ პაატა გუგუშვილის სახელობის ეკონომიკის ინსტიტუტის დირექტორის შერჩევა

(აკადემიკოსი ვლადიმერ პაპავა).

მოისმინეს 1: სამეცნიერო საბჭოს თავმჯდომარის, ეკონომიკის დოქტორის თეა ლაზარაშვილის ინფორმაცია. მან საბჭოს წევრებს მოახსენა, რომ თუ ინსტიტუტის დირექტორი/ დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი არის სამეცნიერო საბჭოს თავმჯდომარე და ამავდროულად დაინტერესებულია დირექტორის შერჩევის პროცესში მონაწილეობით, მას არ აქვს სხდომის თავმჯდომარეობის უფლება და სამეცნიერო საბჭოს სხდომის თავმჯდომარეს სხდომის დაწყებამდე ირჩევს საბჭო თავისი შემადგენლობიდან.

ამის შემდეგ სხდომის თავმჯდომარედ არჩეულ იქნა აკადემიკოსი ვლადიმერ პაპავა.

მოისმინეს 2: აკადემიკოს ვლადიმერ პაპავას ინფორმაცია ინსტიტუტის დირექტორის კანდიდატურის შერჩევასთან დაკავშირებით. მან აღნიშნა, რომ სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პაატა გუგუშვილის სახელობის ეკონომიკის ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭომ კანონმდებლობის შესაბამისად გამოაცხადა ღია კონკურსი ინსტიტუტის დირექტორის კანდიდატურის შესარჩევად. კონკურსი გამოცხადდა 2026 წლის 9 თებერვალს და საბუთების მიღება გრძელდებოდა 9 აპრილიდან 11 აპრილის ჩათვლით. ამ ვადის განმავლობაში რეგისტრირებული იყო მხოლოდ ერთი განცხადება, რომელიც ეკუთვნის ინსტიტუტის მთავარ მეცნიერ თანამშრომელს, ეკონომიკის დოქტორს, თ. ლაზარაშვილს.

აკადემიკოსმა ვლადიმერ პაპავამ აღნიშნა, რომ ინსტიტუტის დებულების თანახმად დირექტორობის კანდიდატმა სამეცნიერო საბჭოს უნდა წარუდგინოს სამოქმედო პროგრამა, რისთვისაც მან სიტყვა მისცვა ინსტიტუტის დირექტორობის კანდიდატს ეკონომიკის დოქტორს, თ. ლაზარაშვილს.

ეკონომიკის დოქტორმა თ. ლაზარაშვილმა ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოს ვრცლად გააცნო მისი ახალი სამოქმედო პროგრამა. ინსტიტუტის სამეცნიერო-კვლევით თემატიკაზე; ინსტიტუტის გამოცემების მაღალრეიტინგულ ბაზებში მოხვედრაზე; სამეცნიერო კონფერენციების ორგანიზებაზე, ბიზნესს, სახელმწიფო ორგანოებთან და უნივერსიტეტთან კავშირების გაძლიერებაზე და სხვ.

აზრი გამოთქვეს: აკადემიკოსმა ვლადიმერ პაპავამ, პროფ. მურმან კვარაცხელიამ.

სხდომის თავმჯდომარემ აკადემიკოსმა ვლადიმერ პაპავამ აღნიშნა, რომ დირექტორის კანდიდატურის შერჩევის წესის (რომელიც მიღებულია ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოს მიერ) თანახმად დირექტორის შერჩევა უნდა მოხდეს ღია კენჭისყრით.

კენჭისყრა:

მომხრე-8, (ეკონომიკის დოქტორი თ. ლაზარაშვილი კენჭისყრაში არ მონაწილეობდა).

დაადგინეს 2: 1. ეკონომიკის დოქტორი თ. ლაზარაშვილი შერჩეულ იქნას თსუ პაატა გუგუშვილის სახელობის ეკონომიკის ინსტიტუტის დირექტორობის კანდიდატად.

3. ეკონომიკის დოქტორ თ. ლაზარაშვილის კანდიდატურა ინსტიტუტის დირექტორის თანამდებობაზე დასამტკიცებლად წარედგინოს ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიურ საბჭოს.

სამეცნიერო საბჭოს სხდომის

თავჯდომარე, აკადემიკოსი ვლადიმერ პაპავა

სხდომის მდივანი, ეკ. დოქტ. ლია თოთლაძე

ამონაწერი სწორია

17.03.2026